საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №80/04
2020 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

„წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 აპრილის №71/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 აპრილის №71/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 23/04/2019; სარეგისტრაციო კოდი: 220020000.18.011.016384) დამტკიცებულ დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საზედამხედველო ზომა – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისათვის სათანადო ზომების მიღების მოთხოვნა, მათ შორის, კომერციული ბანკისათვის ინდივიდუალურად დაწესებული ამ დებულებით გათვალისწინებული მაჩვენებლები/მოთხოვნები;“.

2. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა)

კომერციული ბანკის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კომერციული ბანკის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული საზედამხედველო ზომები ან/და სანქცია (ფულადი ჯარიმა).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**